საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

06/07/2022
N 09-02-16/429

429-09-02-16-2-202207061242

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს
უფროსს ბატონ თეიმურაზ გელდიაშვილს

სადეპუტატო კითხვა

რამდენიმე თვეა ბარცხანის, ბონისა და თამარის დასახლებებში შეინიშნება ნავთობის მძაფრი სუნი, განსაკუთრებულად მძაფრდება დილით და საღამოს, ზოგჯერ სუნთქვაც კი შეუძლებელია. იმ პირობებში, როდესაც ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა გაჩერებულია გთხოვთ გვაცნობოთ:

1. რით არის გამოწვეული ნავთობის სუნი?
2. რამდენი განცხადება (სიტყვიერი, წერილობითი) შემოვიდა ზემოაღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით 2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე თვეების მიხედვით და რა რეაგირება მოახდინეთ თითოეულ განცხადებაზე, მათ შორის სამართალდამცავ ორგანოებს მიაწოდეთ თუ არა მასალები გამოძიების დაწყების მიზნით?
3. ვალდებული ხართ თუ არა შეისწავლოთ ადამიანის ჯანმრელობის რა რისკებთან არის დაკავშირებული შექმნილი მდგომარეობა? გთხოვთ მოგვაწოდოთ, რეაგირების დამადასტურებელი, შესაბამისი დოკუმენტების ასლები;
4. მოსახლეობასთან გქონდათ თუ არა შეხვედრა და მიაწოდეთ თუ არა ინფორმაცია გარემოს დაბინძურებასთან და მოსალოდნელ რისკებთან დაკავშირებით?

პატივისცემით,

გია აბულაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები